



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტივ

აკადემიური კალენდარის შედგენის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესის მიზანია დაადგინოს უნივერსიტეტში აკადემიური კალენდარის შედგენის წესი და პროცედურა.

მუხლი 2. აკადემიური კალენდარის შემუშავების პროცესი

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან თანამშრომლობით ყოველ სასწავლო წელს, ადგენს აკადემიურ კალენდარს. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით;
2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის სასწავლო-აკადემიური წლის გრაფიკი მტკიცდება რექტორის მიერ ბრძანებით.

მუხლი 3. აკადემიური კალენდარის შემუშავების ეტაპები

1. აკადემიური კალენდარის შემუშავების ეტაპები:

I ეტაპი: ყოველი სასწავლო წლის დამთავრებამდე ერთ თვით ადრე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან კოორდინირებული მუშაობით და გასული სასწავლო წლის ანალიზით ადგენს აკადემიური კალენდარის მიახლოებით პროექტს;

II ეტაპი: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით, აკადემიური კალენდარის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის დეკანებთან;

III ეტაპი: შეთანხმების-გადამუშავების საფუძველზე უნივერსიტეტის ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარს დასამტკიცებლად;

IV ეტაპი: უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) და ამტკიცებს სასწავლო-აკადემიური წლის გრაფიკს, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4 აკადემიური კალენდარის შინაარსი

1. აკადემიური კალენდარი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - სასწავლო პროცესის დაწყების და დამთავრების თარიღებს;

- აუდიტორიული მუშაობის განრიგს;
- არდადეგების და დასვენების დღეებს;
- შუალედური, დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების ჩატარების პერიოდს;
- სხვა საჭირო ინფორმაციას.

მუხლი 5 აკადემიური წელი, სემესტრი და სტუდენტის დატვირთვა

1. აკადემიური წელი მოიცავს შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრს;
2. თითოეული სემესტრი მოიცავს 19 კვირას, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:
 - ა. 13 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;
 - ბ. 2 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდებს;
 - გ. 2 კვირა ეთმობა დასკვნით საგამოცდო სესიებს;
 - დ. 2 კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას.
3. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში საკრედიტო სისტემის შესაბამისად მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, ან იყოს 60-ზე ნაკლები, დაუშვებელია წელიწადში აღემატებოდეს 75 კრედიტს;
4. ერთი კრედიტი გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობის 25 ასტრონომიულ საათს.
5. დასვენების დღეები უნივერსიტეტში განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 6 დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
2. წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
3. წესი ძალაშია რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე;

